## ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

**"დინამო" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (თბილისი) - 4:1 (1:1)**
3 ნოემბერი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 40 000 მაყურებელი.
მსაჯი კ. კრავჩენკო (თბილისი).
გოლები: 1-0 პაიჭაძე (7), 1-1 პანიუკოვი (20, პენალტი), 2-1 პაიჭაძე (55), 3-1 ბერძენიშვილი (68, პენალტი), 4-1 ჯეჯელავა (88).

"დინამო": ტყებუჩავა, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, ფროლოვი, გაგუა, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი , პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"ლოკომოტივი": შუდრა, ვორონოვი, შ. ჩხატარაშვილი, რამიშვილი, ნ. ჩხატარაშვილი, ჭელიძე, ნინუა, სიხარულიძე, პანიუკოვი, ჩერედნიჩენკო, კარამატაზიანი.

## თბილისის "დინამოს" მეათე გამარჯვება

გუშინ, ლ. პ. ბერიას სახ. სტადიონზე თბილისის "დინამოს" და „ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა ჩაატარეს საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი.

თამაშის პირველი წუთები დაიწყო დინამოელების უპირატესობით. მე-2 წუთზე ბერეჟნოისაგან მიწოდებული ბურთი "დინამოს" თავდამსხმელთა შუამარბმა – პაიჭაძემ იშვიათი სიზუსტით 16 მეტრ მანძილიდან მოათავსა "ლოკომოტივის" კარში.

ლოკომოტიველები ენერგიულად იბრძვიან ანგარიშის გათანაბრებისათვის და ახერხებენ რამდენიმე კრიტიკული მომენტის შექმნას "დინამოს" საჯარიმო მოედანზე, მაგრამ დაცვის – კერძოდ კი ჯორბენაძის, ჭუმბურიძის და ტყებუჩავას კარგი თამაში არ აძლევთ მათ ამის შესაძლებლობას. მე-19 წუთზე საჯარიმო მოედანთან ახლოს ჭუმბურიძეს შემთხვევით ხვდება ბურთი ხელზე. ინიშნება არათავისუფალი საჯარიმო გარტყმა. ძლიერად ურტყამს ლოკომოტიველი პანიუკოვი. მეკარე ტყებუჩავა მოემზადა ასაღებად, მაგრამ ბურთი მოხვდა ჯგუფად მდგომ დინამოელებს, შეიცვალა მიმართულება და ნელა შეგორდა კარში – 1:1. ტაიმის შემდეგ წუთებში "დინამოს" თავდამსხმელებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეთა კარზე, მაგრამ მე-20, მე-31 და მე-33 წუთზე შუდრამ, ნ. ჩხატარაშვილმა და ვორონოვმა სამჯერ გადაარჩინეს კარი "მკვდარი" ბურთებისაგან.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ – 1:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარში, 14 წუთიან ბრძოლას შედეგი არ მოუცია. მე-15 წუთზე მოედნის ცენტრიდან ბურთი გაიტაცა პაიჭაძემ, მოატყუა ჭელიძე, ნ. ჩხატარაშვილი, ვორონოვი და ბოლოს მეკარე შუდრაც კი და გაიტანა მეორე ბურთი. მე-21 წუთზე ლოკომოტიველები დაჯარიმდნენ "პენალტით". მ. ბერძენიშვილმა გაიტანა მე-3 ბურთი. შეჯიბრების მეორე ნახევრის მე-45 წუთზე, კვლავ, დაუღალავი პაიჭაძე გადის მარცხენა ფრთიდან გარღვევაზე და აწვდის ბურთს ღიად დატოვებულ ჯეჯელავას, რომელსაც გააქვს მე-4 ბურთი. მატჩი დამთავრდა "დინამოს" გამარჯვებით – ანგარიშით 4:1.

აღსანიშნავია თბილისის "ლოკომოტივის", ყოველგვარ უხეშობას მოკლებული და კულტურული თამაში. "ლოკომოტივიდან" სუსტი თამაში გამოამჟღავნეს ჩერედნიჩენკომ, ნინუამ და მარცხენა ნახევარდამცველმა. "დინამოდან" კარგად თამაშობდნენ: პაიჭაძე, ჯორბენაძე და ჯეჯელავა. მიუხედავად შედარებით სუსტი თამაშისა, ჭუმბურიძემ საგრძნობი გარდატეხა შეიტანა "დინამოს" დამცველთა თამაშში. საერთოდ მატჩი ჩატარდა სპორტულად საინტერესოდ. კარგად სჯიდა თამაშს მსაჯი კრავჩენკო.

**ვ. გ-ლია.**
**"მუშა", 4 ნოემბერი, 1938 წ.**